

რეზო კლდიაშვილი

პილონი

(ვარიაციები ჯონ სტეინბეკის მოთხრობის „ტორტილა ფლეიტის“ მიხედვით)

მომქმედნი პირნი:

პილონი

ჟორჟი

სერჟანტი

დორა

მადლენი

პიხარიტო

სცენა წარმოადგენს ქალაქის განაპირა უბნის სასაფლაოს. ჩამინებული პილონი იღვიძებს. კიდევ ერთხელ შეათვალიერებს იქაურობას, მძიმედ წამოდგება, არყის ბოთლით ხელში რამოდენიმე ნაბიჯს გადაადგამს.

პილონი – ჩემს აქ არ ყოფნაში, სულ რაღაც თერთმეტ წელიწადში მთელ უბანს საცხოვრებელი ადგილი შეუცვლია და აქ გადმოსახლებულან. [არყის ბოთლს ხელის კანკალით მოსვამს].

პილონი – იძინეთ, იძინეთ მშვიდად უბნელებო. [ტუჩებს შეიშრობს, რამოდენიმე წვეთს საფლავებზედაც მოასხამს. თითქოს მეტი მოუვიდაო].

პილონი – გეყოფად, გეყოფად! [ბოთლს გულის ჯიბეში შეინახავს].

პილონი – დენი, დენი შენს საფლავს შუადღის შემდეგ დავეძებ, დამალამდა კიდევ. [აქვითინდება, თავში ხელს წაიშენს].

პილონი – დენი მრცხვენია შენი, მეც ხომ ადამიანი ვარ, ცოტა ღირსება მეც ხომ შეიძლება გამაჩნდეს. [მოულოდნელად სერჟანტის საფლავის წინ აღმოჩნდება. უკან დაიხევს. სერჟანტი ულმობელი სახით გამოიყურება].

პილონი – სერჟანტო შენც აქა ხარ?! [სერჟანტი ოდნავ სახეს მოარიდებს. პილონი რამოდენიმე ნაბიჯს გადა-დგამს და დაუკვირდება. სერჟანტი სახეს აარიდებს, არ სიამუფნებს პილონის დანახვა. პილონი წირპლიან თვალებს მოისრისავს].

პილონი – პილონი ვარ, პილონი! [პილონი ბიუსტს შემოუვლის.]

პილონი – დენის მეგობარი. [პილონი ზურგზე ხელს დაარტყამს. სერჟანტი წარბს ასწევს.]

პილონი – არ მითხრა არ მახსოვხარო. აბა გაიხსენე მე და დენი რატომ დაგვიჭირე. [ჩასაფრებულ მზერას მიაპყრობს]

სერჟანტი – რატომ უნდა მახსოვდეს!

პილონი – ძალიან კარგად გახსოვს.

სერჟანტი – წადი, გამშორდი და რომ გამოგიძახებ მაშინ მოდი!

პილონი – მოიცა, მოიცა. ის ხომ კარგად გახსოვს მე და დენიმ მეზობლის ქათმები რომ მოვიპარეთ?

სერჟანტი – მერედა რატომ მოიპარეთ. ქურდობა ხომ ძალიან ცუდია?

პილონი – შეგვეცოდნენ და იმიტომ მოვიპარეთ. მორჩილად რომ მოთქვამდნენ თავიანთ გაუხარებელ ბედზე.

სერჟანტი – (ირონიულად ჩაიხითხითებს) – შე ე ც ო დ ა თ . . .

პილონი – ჰო, არ შეიძლება გაუთავებელი ქოთქოთი და წუწუნი, ზეცაში წმი ნდანებს ვაწუხებთ. ის ავად სახსენებელი სიკვდილი ამ დროს თურმე ჩასაფრებულია და დაუკითხავად მოგადგება. აი, ისე მე და დენი რომ მივადექით მეზობლის ქათმებს. სამაგიეროდ ჩვენს მშვიერ მეგობრებს როგორ გავახარებდით.

სერჟანტი – ქურდობა ცოდვაა.

პილონი – მოიცა, მოიცა ზუსტად ისე გავახარებდით როგორც იმ ორი ქათმით, შენი ცოლშვილი რომ გაახარე იმ დღეს.. [სერჟანტი მკაცრად უყურებს პილონს].

სერჟანტი – ვერ ვიხსენებ, რა ვარია, რის ვარია!

პილონი – ვარია კი არა დედალი იყო, ორთავეს ქარვასავით კურტუმო ჰქონდათ. ვარია არა. . .

სერჟანტი – რას გადამეკიდე, მომასვენე!

პილონი – არ მითხრა ქათმები პატრონს დაუბრუნეო. მიკვირს ჩემი ცოდვით ლუკმა როგორ გადაგივიდა ყელში ან ქათმის ძვალი როგორ არ გაგეჩხირა.

[სერჟანტი აქვითინდება, სლოკინი აუტყდება. ორ ნაბიჯს გადმოდგამს და მარჯვენა ფეხს ურტყამს გვერდზე საფლავს. პილონი გაოცებული უყურებს. სერჟანტი წიხლებით შეადგა გვერდზე საფლავს].

პილონი – რას შვები სერჟანტო?

სერჟანტი – ამის ბრალია სიცოცხლეს რომ გამოვემშვიდობე ასე ადრიანად. ამის მუცელი ვერ ამოვავსე, ერთი დედალი არ ჰყოფნიდა ერთ ჭამაზე. ერთ თავ ყველს ჭამდა ერთ ჭამაზე.

პილონი – ვინ გაგამწარა ასე?

სერჟანტი – ჩემმა სიდედრმა, ექვსი თვის თავზე ჩემს ბატკანივით ცოლს შავი კაბა შემოხია, შავმა ფერმა მიჩვევა იცისო.

პილონი – მეც გამიგია, ცრემლმა ცრემლი იცისო.

სერჟანტი – წელიწადი და შვიდი თვის შემდეგ აქ მოვათრიე. აქაც მამწარებს სულ შია, არ მასვენებს.

პილონი – საკურთხს ითხოვს?

სერჟანტი – აქაურები გეცოდებოდეთ, ხალხს ისე უჭირს მიცვალებულები დაივიწყეს. თუ ვინმეს საკურთხი მოუვიდა, მგლებს ხროვასავით დავესევით და პატრონს ვინ აცლის ზრდილობისათვის ერთი ლუკმა რომ შეხვდეს.

პილონი – შენი თქმით ციხეში პერედაჩის მიღების დროს უფრო წესრიგი ყოფილა.

სერჟანტი – ბევრად, მანდ სამოთხეა. ჩემმა სიდედრმა ამ სამი წლის წინ ცხარე ცრემლით მატირა, ერთი ლუკმა არ გამიყო.

პილონი – უხერხულია, ესმის ალბათ.

სერჟანტი – ყრუა, იღორა და აქაურებმა ისე სცემეს ძვალ-რბილი გაუერთიანეს.

პილონი – ეკლესიაში სიცოცხლეში წირვაზე ხომ დადიოდით?

სერჟანტი – ვახერხებდით.

პილონი – თანაც წმინდანებს თვალს უსწორებდით.

სერჟანტი – მე პირადად რატომ არ უნდა გამესწორებინა

პილონი – მე კიდევ არ დავდივარ, წმინდანებს არ ვაწუხებ და არც არაფერს ვთხოვ.

სერჟანტი – შენ ხომ ქურდი ხარ და ქურდობა ცუდია.

პილონი – ეგ ყველამ იცის ქურდობა რომ ცუდია, მაგრამ მაინც ვქურდობთ, რაშია საქმე?

სერჟანტი – სანთელივით წმინდა ვიყავი, წესრიგის მოყვარული.

პილონი – (დაასლოკინებს) საქმე იმაშია, ხვდებით ხომ? თევზი საიდან ჰყარს?

სერჟანტი – არ გამიგია და არც მინდა ვიცოდე

პილონი – პილონს ვინ გამაბედივინებს ქურდობას, ქალაქის თავი, პოლიციელი ან მოსამართლე ქურდები რომ არ იყვნენ.

სერჟანტი – მე არ გამიგია, ფუი ეშმაკს, ფუი ეშმაკს.

პილონი – ნუ გაფითრდი, მანდ მაინც რისი გეშინია. მონად იყავი დაბადებული და მანდაც მონურ ცხოვრებას განაგრძობ, არიან ადამიანები მონებად რომ იბადებიან.

[პილონს დააცემინებს და მარჯვენა ხელს სამჯერ ზურგზე დაირტყამს].

პილონი – რაო, რაო (ყურთან მიიტანს ხელს) ძალიან სცდები სერჟანტო, ქურდებად არ იბადებიან. ხომ ხედავ მეორედაც დაცემინება მინდა და ვერ ვაცემინებ. ე.ი. ცხვირიც არ მიმოწმებს, რადგან სწორს ვამბობ და იმიტომ.

სერჟანტი – ღმერთი გწამს?

პილონი – არ მწამს.

სერჟანტი – მომეხმარე და ეს ჩემი სიდედრი შორს გადამასვენებზე. აქ მაინც ვიყო მშვიდად. ისე დავტოვე მაქაურობა არ გამიხარია ძალღვივით ვიცხოვრე. გადამასვენებზე რა შორს.

პილონი – ღმერთს ჩემი სიყვარულით მართალია არ ვაწუხებ მაგრამ იმდენი კი ვიცი მკვდარი საფლავში რომ არ უნდა შევაწუხო. ჩემს ცოდვებს მაგ ფერით ვერ გავამდიდრებ. ისიც გამიგია საფლავს ხელს თუ ახლებ აუცილებლად ოჯახიდან ვინმეს წაიყვანსო. რა მაგის პასუხია და ერთი რამ თვალში საცემი გახდა დიდი ხანია რაც აქედან გადავიკარგე. დღეს რომ უბანში ჩამოვიარე, უბნელებს ნაგაზები ჰყავთ აშვე ბული.

სერჟანტი – ჩემი ხელი აკლიათ.

პილონი – ეტყობა ქურდობა და ძარცვა ისე მძვინვარებს ადამიანებმა გამოსავალი მოძებნეს.

სერჟანტი – ძაღლების გამოგნებელი ყეფა აქაც ძალიან ისმის.

პილონი – არადა, სულ რაღაც ამ თხუთმეტი წლის წინ, ფანჯრებს, სახლის კარებს ან ჭიშკარს ვინ კეტავდა, იყო რასაკვირველია წვრილმანი ქურდობები, როგორ არ იყო მაგრამ . . . აი, ის იტალიელი პოლიციელი რომ იყო, ისიც შენსავით წუწკი და დაუნდობელი იყო. ერთხელ მე და დენიმ ქალაქში ფოსტის წინ ვიხულიგნეთ, ნასვამები ვიყავით და დავგიჭირა, სამი დოლარი მომეცით და გაგიშვებთო. ჩვენც ბევრი ვევაჭრეთ და ერთ დოლარამდე ჩამოვიყვანეთ. მერე ორთავემ მის თვალწინ ჯიბეები გადმოვიბრუნეთ, რომ დარწმუნდა ცენტიც არ გაგვაჩნდა, იმ ახვარმა ოცდაათი დღით გვიკრა თავი ციხეში. საკანში პირი გვიშრებოდა, თითქოს შაბი ამოგვივსესო. დენიმ ოცნება დაიწყო, როგორც იცოდა – პილონი, ეხლა ღვინის წვიმა რომ წამოვიდეს და მთელი დღე იწვიმოს არ გინდაო? თანაც დიდ ცისტერნებს ვავსებდეთ. გავუჯავრდი, რას ამბობ მეთქი, გარეთ ღვინის წვიმა რომ წამოვიდეს და მე ამ ბნელ საკანში ვიყო, ხომ გამისკდა გუ ლი. არასოდეს არ მყვარებია უაზრო ოცნება, მაგრამ დენის ხათრს როგორ გავუტეხავდი. ისე დავსველდით, სულ მთლად გავილუმპეთ. აი, რომ გამოიდარა, უფრო სწორად, დენი ოცნებისაგან რომ დაიღალა, გეფიცები [პირჯვარს გადაიწერს] გვეშველა, პირი ისე აღარ გვიშრებოდა. რომელი ერთი გავიხსენო. [პილონი მაყურებელს მიმართავს]. პილონი – დენის წასვლით ამ ქვეყნიდან ჩვენი სამეგობროც დაიშალა. რა დაეტაკა ასეთი, ავადმყოფობა, როგორ უცებ მოაქცია თავის კლანჭებში. დილით, ეზოში სავარძელში ჩამინებულს მზის სხივი დასთამამებდა სახეზე (პილონი თავს გააქნევს). სულ მეგონა სამეგობროს ღერძი მე ვიყავი, თურმე ვცდებოდი. ეჰ, დენი, დენი (აქვითინდება). გავვთვალეს, გავვთვალეს. თვალის ძალიან მჯერავს. ბავშობაში ბაბუაჩემმა მასწავლა დილით პირველი ადამიანი როგორც კი შეგხვდება ჩუმიად შენთვის სამი თითის კომბინაცია გააკეთეო. აი, ასე, ბაბუას რჩევა ხშირად მახსენდებოდა. წარმოიდგინე, დენის მეგობრებს არც ერთს თავმესაფარი არ გაგვაჩნდა. შეგვიკედლა. ერთ მშვენიერ დღეს მოულოდნელად ანდერძით მამისეული სახლის მეპატრონე გახდა. მამამისი მაგარი ახვარი იყო, სიცოცხლეში ფეხებზე ეკიდა დენი. საშინელება დაგვატყდა, ორთავე სახლი, სულ რაღაც წელიწადნახევარში ხანძარმა შთანთქა და ფერფლად იქცა. დენი გამორჩეული იყო, ქალებსაც როგორც მოსწონდათ. მე საცოდავი მთელი ცხოვრება მეძებარი ძალივით დავძრწოდი სასმელი და დასაყოლებელი რომ მეშოვნა. დენი უყვარდათ უბანში. რა დიდებულად დაასაფლავეს ტორტი ლა ფლეტელებმა, რამდენი ცრემლი გაჰყვა. შენც ხომ გახსოვს სერჟანტო? მე კიდევ, მე უბედურს ტანსაცმელი არ მქონდა ხალხში რომ გამოვჩენილიყავი და ბუჩქებიდან ვადევნებდი თვალს დენის დასაფლავების პროცესიას. ბოზებმაც როგორ დაიტირეს. (პაუზა). ძალიან გამიჭირდა, ჩემს სამშობლოში დავბრუნდი. სიზმრებმა გამაგიჟეს, სულ აქაურობას ვხედავდი. სხე ულში სულს ძლივს ვამაგრებდი. აი, ჩამოვედი, თითქოს ვინმე მელოდა. აქ კი დრო გაყინული მეჩვენა. ისევ ის დაბრე ცილი მტვრიანი ქუჩები, აქა-იქ ბოძებზე შერჩენილი ჩამტვრეული ფარნები. ყველას და ყველა ფერს გაჭირვებისაგან სახე ჩამოსტირის. ამდენი უმუშევარი პაისანო ისევ, ისე დაძრწის – იტალიელები, პორტუგალიელები, კავკასიელები და ვინ ოხერს, ან რა რჯულის ადამიანს არ ნახავ ბედის სამებნელად რომ ჩამოყრილან მონტერიეში ჩემსავით. კალიფორნია! კალიფორნია! [არტისტული ჟესტით წარმოთქვამს ხმამალა] მისი უძველესი ქალაქით – მონტერიე რომ ჰქვია. რა ლამაზად ჟღერს არა [ჩაფიქრდება და ღიმილი გადაჰკრავს]. ერთმა კავკასიელმა პაისანომ იცოდა – ხვიშტი. [სამი თითის კომბინაციას გააკეთებს] რა ერქვა აღარც კი მახსოვს. [ჩაფიქრდება] მე ამ ბოლო დროს მეხსიერება მძალატობს და ცალ თვალზე ბინდიც კი მეფარება. უკაცრავად მაგრამ მეფსმება. [გვერდზე გაიწევა, თანაც სერჟანტთან საუბარს განაგრძობს] იმ იტალიელი სერჟანტის გვარიც გავიხსენე - ტიტო რალფი, ტიტო რალფი არც ისე ცუდად არის ჩემი მეხსიერების საქმე. [შარვალს იბნევს და სერჟანტის საფლავს უახლოვდება]. მეხსიერება თუ დავკარგე მე და შენს შორის რაღა განსხვავება იქნება. მიწის ზემოთ მკვდარი გაცილებით საცოდავია. საუბარი გამიგრძელდა წავედი, წავედი. დამლაპარაკებელი მეც მენატრება. ერთფეროვანმა დღეებმა დამღალეს, ხანდახან ისე მჭირდება ცხოვრებაზე ვისმეს აზრი გავუზიარო, მაგრამ . . . [მხრებს აიჩეჩავს]. ოჰ, დენი შენი ფასი არ მცოდნია, შინაურ მღვდელს ხომ შენდობა რა აქვს. ასეა, ასე. არც კი ვიცი დიდი ჯო, პაბლო, მეკობრე და მისი ძაღლები, ხესუს მარია ცოცხლები არიან თუ მკვდრები [არაყს გადაჰკრავს ხელის ქნევით სერჟანტის საფლავს

ემშვიდობება]- სადამო ისე ახლოვდება როგორც სიბერე უახლოვდება ხოლმე ბედნიერ ადამიანს [ფეხს წამოჰკრავს, წაიბორძიკებს. ქალის ბიუსტს თავს მიარტყამს. არყის ბოთლი ხელიდან გაუვარდება, დაეძებს, იპოვის. შუბლზე ხელს მიიდებს] ნეტა ვის საფლავთან უნდა დამელია სული [ბიუსტს ახედავს, წარწერის წაკითხვა უჭირს, თვალებს არ უჯერებს. გაოცებისაგან აღმოხდება] დორა? [სინათლის სხივი ქალის ბიუსტს ეცემა, რომელიც თითებს უკვირდება და თავისთვის ჩურჩულებს].

პილონი – დორა?! ნამდვილად დორაა, საროსკიპოს მეპატრონე, დორა უილიამსი. [წარწერას ერთხელ კიდევ ხმამაღლა ამოიკითხავს].

პილონი – დორა უილიამსია, აბა ამოდენა ძუძუები მის გარდა ვის ექნებოდა ტორტილა ფლეტში. [პილონი შარვალს დაიფერთხავს, თმაზე ხელს გადაისვამს, დორას მორცხვად ახედავს]

პილონი – დორა, ერთხელ ნამყოფიც ვარ შენთან საროსკიპოში. [მორცხვად ელოდება დორას რეაქციას. დორა არ აქცევს ყურადღებას და თითებს უკვირდება]

დორა – ვუყვარვარ, არ ვუყვარვარ, ვუყვარვარ, არ ვუყვარვარ. ვ უ ყ ვ ა რ ვ ა რ!! სხვათაშორის ქალებს კაცები აბოზებენ და თავიანთ სისუსტეს ჩვენ გვაბრალებენ. არც ერთ ქალს არ უნდა იყოს კახპა. (პაუზა) ვიფიქრე, ვიპოვე მამაკაცი რომელსაც ხელს არ გავუშვებ მეთქი, დავბანე, ვაჭამე, სული რომ მოითქვა და კაცს დაემსგავსა თვენახევარში, ჩემი საროსკიპოს მეძავთან მილალატა, თან ვის? მე დორა უილიამსს. ოჰ უმადურობავ! . . .

პილონი – მივხვდი ვიზეც ლაპარაკობ, კავკასიელ პაისანოზე. ამბობდნენ.

დორა – სადღაც ჩაკვდა. მაგრამ გულიდან მაინც ვერ ამოვმანთე. ისე მყავდა ჩაკერებული. კაცი მე არ გამაკვირვებდა, მაგრამ ჟორჟი სხვა იყო, როგორ უყვარდა ჩემი ცხვირის ნესტოები. ნერვიულობისაგან ადამიანს ყველაფერი უბედურება შეიძლება გაგიჩნდეს. მაგრამ გული არ მწყდება ცოტახნით, სულ რაღაც სამი კვირა ვიყავი ქალი. დანარჩენი მთელი ცხოვრება 13 წლიდან საფერფლე, ათასი რჯულის კაცის ხვამიადის ჩამქრობი.

პილონი – ეგ ბიუსტი ალბათ ბოზებმა დაგადგეს, ცოცხალივითა ხარ.

დორა – არ მეკუთვნოდა ან არ დავიმსახურე?!

პილონი – გეფიცები, მე კიდევ უკვდავი მეგონე. მშვიდად იძინე, ნაშრომი ქალი ხარ. [არაყს გადაჰკრავს, ტუჩებს შეიშრობს და საფლავს გასცდება].

პილონი – დორას თუ რამე წააქცევდა ვის შეეძლო წარმოედგინა. დოლს არ მოხვედრია იმდენჯერ რაც დორას მაგრამ. . .

დორა – პილონი!!! [პილონი გაშეშდება. საბრალო სახით აღმოხდება]

პილონი – რად მიხმობ დორა? [უკანა სვლით, ზურგით დორას ბიუსტს უახლოვდება თითქოს რაღაც უხილავი ძალა ექაჩება. შემოტრიალდება]

პილონი – ეგრე გეთქვა, როგორ ვერ მოვისაზრე. [არყის ბოთლის პირთან მიტანას დააპირებს და ჰაერში გაუშვებდა] პილონი – დორა, რაშია საქმე?

დორა – დაასხი შე ღორო!

პილონი – ეს როგორ დამემართა. [საფლავზე შეეცდება დაადვაროს სასმელი მაგრამ წვეთი აღარ არის. წვალბს და შეშინებული ახედავს დორას და ბოთლს მოისვრის. ხელს ყურთან მიიტანს.]

პილონი – ცოტა ხმამაღლა არ მესმის დორა. სანთელი დაგინთო? საიდან გავაჩინო. ო, დორა, დორა გულთმისანი ხარ. [პილონი გულის ჯიბიდან უკმაყოფილო სახით სანთელს ამოიღებს] პილონი – დენის საფლავზე მინდოდა დამენთო მაგრამ არა უშავს, არა უშავს. [დაიჩოქებს და სანთელს აანთებს].

დორა – ხედავ როგორ იწვის სანთელი? პილონი – ვხედავ, ვხედავ. ალს თავისი შუბი ზეცისკენ აქვს მიმართული?

დორა – მხატვრები და მწერლები ასე იწვიან უკვდავებას რომ ეზიარონ

პილონი – არ ვიცოდი

დორა - კავკასიელი პაისანო პოეტი იყო, ლექსიც მომიძღვნა პილონი – პოეტი? ის კი მახსოვს თავის ქვეყანას რომ მისტიროდა, უყვარდა ღელესთან მარტო ჩამოჯდომა და გულდათუთქული ლექსების კითხვა. გუბე ზღვასავით ეჩვენებოდა. მამ, პოეტობდა არა?

დორა – ჟორჟ! ჟორჟ! ჩემო მკვლელო და დამფუფქველო.

პილონი – შენ რომ გამოაგდე ერთი ორი ღამე დენის სახლშიც შევიფარეთ

დორა – რას ამბობდა ჩემზე, მითხარი არ დამიმალო პილონი – შენზე (პაუზა). ამბობდა რომ დორა თუ არ შემირიგდება დავიღუპებიო.

დორა – ადამიანს თავის თავის უნდა ემინოდეს. ვინ გიმტრობს ისე შენ რომ უმტრობ შენს თავს?

პილონი – ახლა მე წავალ დორა. ბატონო, ბატონო. გეფიცები დენიში გეშლები, ჩემს სიცოცხლეში არ მიმღერია, სამღერლად საქმე არასოდეს მქონია მერედა სასაფლაოზე სიმღერა ვის გაუგია.

დორა – იმღერებ!

პილონი – თავზარდაცემული ვარ, შენ მიწაში უნდა იწვე და მე ცოცხალი უნდა ვიყო

დორა – ეს განგების შეცდომაა, მაგრამ ამას ეხლა არაფერი ეშველება. ჩემს თხოვნას, გნებავს ბრძანებას შეასრულებ!

პილონი – მემღერება ეხლა მე? გინდა დორა აქედან პირდაპირ წმინდა კარლოსის ტაძარში გავიქცევი და ბევრ სანთელს დაგინთებ.

დორა – [დორა მკერდს მოიშიშვლებს] პილონი მკვდარი რომ არ ვიყო ამდენს ხომ არ მახვეწებდი?

პილონი – ბინდდება დორა და თანაც შიშისაგან შეიძლება აქვე შევრცხვე.

დორა - ამოიღე! პილონი – რა ამოვიღო დორა, შიშისაგან ისეა დაპატარავებული ამის მოძებნა არ გინდა. ფეხებიც აღარ მემორჩილება. შემიცოდე დორა დორა – ამოიღე!

პილონი – მანდ მეზობლები არა გყავს გული რომ გადააყოლო. თუნდაც სერჟანტი. [დორა შეაფურთხებს, პილონი იწმენდს]

პილონი – რა ვიცი, სიცოცხლეში შეგემლო ერთხელ მაინც ნისიად შენს საროსკიპოში მეც მიმელო სიამოვნება

დორა – უფულოდ?!

პილონი – დენის ხომ სწყალობდი? დორა – დენი სხვა იყო პილონი – ვიცი, სხვა რომ იყო. მეკობრე ფულს აგროვებდა, მოვპარე და ერთხელ შენს საროსკიპოში კაცურად მეც შემოვდი. [გაისმა ძაღლის ყეფა]

პილონი – რა ნაცნობი ხმაა (ყურთან ხელს მიიღებს, სახე გაუნათდება). ღინღლას ხმაა, მოიცა, მოიცა, არა, არა ეს პიხარიტოა, მეკობრის ძაღლი, შეიძლება მეკობრეც აქ იყოს ან მკვდარი ან ცოცხალი. თუ ცოცხალია უსიკვდილოდ, დენის საფლავთან იქნება. პიხარიტო, პიხარიტო, აქეთ, აქეთ პილონი ვარ! რამდენი ამაგი მაქვს შენზე. [ძაღლის ყეფა შეწყდება]. ამაგი ვის დაფასებია და მე რომ დამი-ფასდეს. [დორას ბიუსტს გულმოსული გახედავს] დორა შენ აუკრძალე პიხარიტოს ჩემთან მოსვლა არ არსებობს ჩემი ხმა გაეგონა და აქ არ გამოჩენილიყო. ლუკმას ვუყოფდი. ცუდად რომ იყო ღამეებს ვუთენებდი და ჩემს კალთაში ეძინა. მართალია ღარიბი ვარ, ზომაზე მეტად მიყვარს სმა, მაგრამ მეც გამაჩნია ღირსების გრძობა. გტოვებ, იძინე მშვიდად. შენ ამის უფლება მოიპოვე. თუმცა გაგიმეორებ სიცოცხლეში შეგეძლო ერთხელ მაინც ნისიად შენს საროსკიპოში მეც მიმეღო სიამოვნება. [გაისმის შრიალის ხმა, შიშისაგან დორას ჩაეკვრება, დორა ხელს ჰკრავს, განდევნის. დაეცემა. თეთრზეწარ შემოხვეული მადლენი ბალერინას სვლით პილონს უახლოვდება, მხარზე ხელს ნაზად დაადებს, პილონი უკვირდება]

პილონი – მ ა დ ლ ე ნ ? [მადლენი ხელს გაუწვდის და წამოაყენებს. პილონი აქვითინდება. მადლენი თითებით ცრემლს შეუშრობს]. პილონი – მაპატიე მადლენ, მაპატიე

მადლენი – გაპატიებ პილონ გაპატიებ, მაგრამ მე რომ არავინ არასდროს არაფერი რომ არ მაპატია?

პილონი – იმ დღეს დორას საროსკიპოში შენი ვარდისფერი ლიფი მე მოვიპარე.

მადლენი – ალბათ მხოლოდ კეთილი განზრახვით.

პილონი – რასაკვირველია კეთილი განზრახვით. დენის მორიგი ქალისთვის საჩუქარი სჭირდებოდა, ფული არ ჰქონდა ხელდამშვენებული რომ წასულიყო. [პილონი თავში წაიშენს ხელს. მადლენი აქვითინდება]

მადლენი – ო, ჟორჟ რამდენჯერ გაფრთხილებდი სიყვარულს მალვა უნდა მეთქი. არ დამიჯერე და დორამ ორთავე დაგვსაჯა.

პილონი – შრომობდი პატიოსნად, შენ სხეულს ჰყიდდი.

მადლენი – ოჯახს ვარჩენდი. პილონი – ჩვენ დროში ოჯახის რჩენა დიდი საქმეა.

მადლენი – დედაჩემის ძროხას რძე რომ გაუშრებოდა მშივრები ვეყარეთ. პილონი – მისის პოლოჩიკო ცოცხალია?

მადლენი – მაგას რა მოკლავს. პილონი – ის ცოცხალია და შენ კიდევ. . . რა მაგის პასუხია და მისის პოლოჩიკო რძეში ძალიან ბევრ წყალს ურევდა. ეგეც ცოდვაა ერთგვარი.

მადლენი – დორამ საროსკიპოდან რომ გამომავდო დედაჩემმა სახლში აღარ შემიშვა.

პილონი – ინერვიულებდა სამსახური რომ დაკარგე. შენ არ ინერვიულო იმ ვარდისფერ ლიფს ვინმე მიცვალეხელის ხელით აუცილებლად გამოგი გზავნი ფულს რომ ვიშოვნი.

მადლენი – კარგი იქნება პილონი – რომ იცოდე როგორი სიტყვის კაცი ვარ.

მადლენი – სანთელსაც დამინთებ? პილონი – რას ჰქვია სანთლებს არ დაგინთებ, აუცილებლად დაგინთებ. ახალგაზრდობაში მღვდლობა მინდოდა, შენ წარმოიდგინე მონტერიუს კალე ნდარში ერთი წმინდანი გაჩნდებოდა, მაგრამ არ ისურვეს. [პილონი ზეცას გახედავს].

მადლენი – კიპარესობამდე გამაცილებ? პილონი – მადლენ შენ ცახცახებ?

მადლენი – დორას ჟორჟთან რომ არ შევესწარი დღესაც ცოცხალი ვიქნებოდი, მიზეზად კი ლიფის დაკარგვა გამოიყენა. პილონი – დორა რა აფთარია კარგად ვიცი, მაგრამ ამ შემთხვევაში მართალია ჟორჟი დაბანა, ასვა, აჭამა, თანყვებოდა. კინწისკვრით გამოგყრიდათ აბა რას იზამდა. დორა ლალატს ვინმეს შეარჩენდა?

მადლენი – ჟორჟი ჩემზე გიჟდებოდა.

პილონი – ჟორჟი ყველაზე გიჟდებოდა, აბა დორას ჰკითხე. დენის ლიფის მოპარვის ამბავი რომ მოუყევი გამიბრაზდა, მაგრამ საჩუქრად მაინც წაიღო. ღმერთო დიდი და პატარა ცოდვის გარჩევა უნდა შეგეძლოს. აბა, აქლემის და ნემსის ქურდი ორივე ქურდი როგორ არის? ნემსის ქურდს ცოტა შეღავათი არ ეკუთვნის? მადლენ რატომ შეჩერდი.

[მადლენი საფლავთან აქვითინდება და ცახცახებს].

პილონი – ვისი საფლავია მადლენ.

[მადლენი საფლავის ირგვლივ ცეკვას იწყებს] პილონი – მადლენის სასაფლაოზე ცეკვა ვის გაუგია?

მადლენი – ჟორჟ განა შენ არ მასწავლე უსიყვარულოდ მზე არ სუფევს ცის კამარაზე, სიო არ დაჰქრის. . .

ჟორჟი – იკითხე მგლის თავზე სახარება პილონი – მადლენს უყვარხარ

ჟორჟი – მე ვუყვარდი და შენ ხმარობდი პილონი – მე მხოლოდ ერთხელ ვიფიცებ რაც კი გამაჩნია

ჟორჟი – შენ ხომ არ გგონია პირველად გავაგდე სულ აქ არის ჩამომჯდარი, აქაც არ მაყენებს. წადი მადლენა ამ კაცთან საქმე მაქვს და მე დაგიძახებ და მაშინ მოდი.

მადლენი – არ მომატყუებ? პილონი – წადი მადლენ და აუცილებლად დაგიძახებს

[მადლენი ცეკვა-ცეკვით გაქრება] ჟორჟი – მიჭირს ძმა და შენ უნდა მიშველო.

პილონი – მე როგორ გიშველო, მე რომ მიცვალებულების შველა შემეძლოს წმინდა კარლოსის ტამარში მეფესავით მაცხოვრებდნენ.

ჟორჟი – კაცური სიტყვა მომეცი და საქმეს მოგცემ. ძმაო გინდა განძი გაპოვნის ნო?

პილონი – განძი?

ჟორჟი – ძმა მომხედე, ღამე უნდა გაათენო სასაფლაოზე. კარგად დაიმახსოვრე.

პილონი – ვიმახსოვრებ

ჟორჟი - ამაღამ ძმა, წმინდა ენდრიუსის დღესასწაული იწყება. ზეციდან სულები ჩამოდიან და თავიანთ დაფლულ განძს უთვალთვალევენ. ღმერთმა გამომიგზავნა შენი თავი და ჩემი სული შენს ხელშია. გამდიდრება არ გინდა?

პილონი – მეც გაგონილი მაქვს მტრები ამ ორასი წლის მანძილზე მონტერიეს რომ შემოესეოდნენ ქალაქის მაცხოვრებლები თურმე ტყეში მალავდნენ განძს. ნუთუ ეს მართალია?

ჟორჟი – დორაია ბოზი ხომ გახსოვს, იმისაგან მაქვს გაგონილი. აზრს ნუ მაწყვეტინებ, დრო არა გვაქვს. ძმა, თუ გეშინია ტყუილა ნუ მბაზრებ.

პილონი – რა დროს შიშია, ნუ გეშინია განძი თავგზას არ ამირევს. მერე რაა რომ მთელი ცხოვრება სიღარიბეში გავატარე.

ჟორჟი – არ გინდა ახლა ტუფტა ბაზარი. წერაქვს კარგად ხმარობ?

პილონი – ჯარში საომრად რომ ჩავეწერე იარაღის მაგიერ ბარი შემომაჩეჩეს.

ჟორჟი – ადექი!

პილონი – საით წავიდე?

ჟორჟი – მარჯვნივ, გადადგი ხუთი ნაბიჯი და დორაია ბოზის უკან რომ საფლავია, მოფარებულში ხედავ?

[პილონი ასრულებს ჟორჟის დავალებას]

პილონი – რა მაგარი ხარ ჟორჟ. ვიპოვე.

ჟორჟი – სულელებმა არ დაგინახონ ბორიას რომ დაიწყებენ. დაბრუნდი და კარგად გადააფარე მადლენია ბოზმა რომ გესროლა ის.

[პილონი ასრულებს ჟორჟის დავალებას]

ჟორჟი – მამხედე ძმა. ახლა გამხმარი ხის ტოტიდან ჯვარი გააკეთე.

პილონი – ნახე რა ლამაზია, როგორ ციმციმებს აქაურობა.

ჟორჟი – არ გინდა ლიშნი ბაზარი, ზოგიერთი სული უკვე დადის.

[პილონი გამხმარი ხის ტოტებისაგან ჯვარს გააკეთებს. გაისმის მუსიკის ხმა და სცენაზე ჩნდებიან ზეციდან ჩამოსულები. წყვილები, ზოგიც მარტოსულია, მიდიან თავიანთ საფლავებთან დახედავენ, ლოცულობენ].

ჟორჟი – ნისლოვან სვეტს ხედავ

პილონი – მქრქალად რომ ანათებს?

ჟორჟი – ჯვარი კარგად გიკავია?

პილონი – ხელიდან ვერავინ გამაგდებინებს

ჟორჟი – მეორე ხელში წერაქვი დაიჭირე

პილონი – არის!

[პილონი ნელი ნაბიჯით უახლოვდება სვეტს. სვეტი გაქრება. ფეხს ღრმულს დაადებს]

პილონი – [ჩუმად] ჟორჟ ღრმული ვიპოვე

ჟორჟი – წრე შემოხაზე

[პილონი მიმოიხედავს და ხის ტოტს იპოვის. წრეს შემოხაზავს]

ჟორჟი – დაჯექი და სანამ მონტერიეს პირველი მამალი არ დაიყვილებს ხელი არ უნდა გაანძრიო. პირველად წერაქვი მაშინ უნდა დაჰკრა, მამალი პირველად, რომ დაიყვილებს, გახსოვდეს ყივილს არც უნდა დაასწრო და არც დააგვიანო, ჩაგვეშლება.

პილონი – განძის პატრონი რომ დამადგეს რა ვუთხრა. ხომ ხედავ ზემოდან რამდენია ჩამოსული.

ჟორჟი – ხშირად გაიმეორე შენთვის - „უფალო იესო ქრისტე მეო ღვთისაო შემიწყალე მე ცოდვილი და მახარე.“ მახარე არ დაგავიწყდება?

პილონი – არ შეიძლება რომ ჩამოვჯდე სანამ მონტერიეს პირველი მამალი დაიყვილებს?

ჟორჟი – ჩამოჯექი!

პილონი – პირი მიშრება, ჟორჟ ერთი კითხვა მაქვს, რით დავიმსახურე შენი ასეთი ნდობა, ამოდენა საიდუმლო რომ გამანდე. მეგობრობის ფასი რომ ვიცი განა იმიტომ? ოჰ, დენი, დენი, შენ არ იცი ჟორჟ რა მეგობარი დავკარგე. დენი და ჩემი სამეგობრო აქ დიდი განძი იყო ჩემთვის. ერთი ტომარა განძი ვერ შეცვლის იმ სიყვარულს. ბევრჯერ გვიჩხუბია, წავკამათებულვართ მაგრამ ერთ მუშტად ვიყავით შეკრული. დორამ რომ გამოგაგდო ხომ გაგიმართეთ შენც ხელი, ლუკმას გიყოფდით. მერე დავგვეკარგე. მაინც სად არის შენი სამშობლო. (პაუზა)

ჟორჟი – ორ ზღვას შუა

პილონი – მიაბზე შენზე ჟორჟი - იმ ნაბოზვარმა ჰიტლერმა ომი რომ დაიწყო, ომში გამიწვიეს. ბელორუსიაში წინა ხაზზე ვიბრძოდით. სოფელი გერმანელებმა აიღეს და ჩემი ფეხით ჩავბარდი ტყვედ

პილონი – რომ დაეხვრიტეთ?

ჟორჟი – საქსონიის შვეიცარიაში ამოვყავი თავი ცხვრებს ვუვლიდი. ერთხელ უფროსს „ჩაქაფული“ გაუკეთე ცხვრის ხორცისაგან ჩვენებური კაკასიური. გაგიჟდნენ „ნემცები“ და „დავერიეში“ შევედი.

პილონი – ცხვრის ხორცისაგან ჩვენც ვაკეთებთ კერძებს

ჟორჟი – მოკლედ „ბრატ“, გერმანელებთან ერთად დავიპყარი საფრანგეთი. ერთი ფრანგი პატრიოტი ქალი გამეჩითა, მაგარი ნაშა და ამირია აწყობილი ცხოვრება.

პილონი – გამიგია ფრანგებს ლამაზი ქალები ჰყავთ, მე არც მინახავს და არც გამისინჯია

ჟორჟი – თქვენ დორაია და მადლენია ბოზის გარდა ვინ გინახავთ. „კაროჩე“ პატრიოტმა ფრანგმა ქალმა შემახვია და ჩაქაფულით დავწამლეთ შტაბის უფროსობა. მაგრა ვევასებოდი გერმანელებს დავერიეში ვიყავი სად მქონდა ჭკუა საათივით მქონდა საქმე აწყობილი.

პილონი – რა გაბედული ხარ ჟორჟ ჟორჟი – საფრანგეთში აღარ დამედგომებოდა და ამერიკაში, კალიფორნიაში ამოვყავი თავი. მონტერიე დამევასა. საპორტო ქალაქია. ბევრი მიდი- მოდია. ბავშობაში ზღვაზე ხშირად ვიყავი – დედულებით ფოთში. დედაჩემი გამოთხოვილი იყო ქუთაისში საფიჩხიაზე.

პილონი – ჟორჟ როდის დაიყვილებს მონტერიეს პირველი მამალი?

ჟორჟი – რაც ასაკი მომემატა, ოცი წელია აქ ვაგდივარ, სულ მეტირება.

პილონი – მე კიდევ ჩემს სამშობლოში მექსიკაში წავედი და ვერ გავჩერდი. გული აქეთ მიწევდა, ვითომ ვინმე მელოდებოდა

ჟორჟი – ბოზის შვილი ვიყო, საქართველოში რომ ვინმე გადამასვენებდეს აქეთ თუ გამოვიხედო ჩემდათავად. მმა განძს რომ იპოვნე ჩემს ძვლებს ყუთში ჩადებ და ჩემს სამშობლოში წაიღებ?

პილონი – არ მესმის

ჟორჟი – არ გესმის კარგია, ამდენა განძს გაძლევ სიმონ, თავი არ მომაკვლევი. მოგისევ მაგ სულელებს რომ დაბორიალობენ დ გაგაქრობენ. არ მესმისო, რა თქვა.?

პილონი – ერთი რამ არ მესმის, სულ ერთი არ არის მიწაში სად იქნები?

ჟორჟი – თავი არ მომაკვლევიო ძმა!

პილონი – ნუ ნერვიულობ, აუცილებლად შეგისრულებ თხოვნას. კი მაგრამ შენს სამშობლოში როგორ უნდა მოვხვდე?

ჟორჟი - თურქეთში ჩახვალ, იქიდან ტრაპიზონში პილონი – თურქეთი, ტრაპიზონი არ გამიგია, მაგრამ მივაგნებ

ჟორჟი – ტრაპიზონიდან ჩახვალ სარგში. საქართველოში რომ შეხვალ ჩახვალ ქუთაისში, იკითხავ საფიჩხის სასაფლაოს

პილონი – ტვინი ამერია

ჟორჟი – მე შენ მოგცემ როგორ უნდა ტვინის არევა. კალიფორნია, მონტერიე, ტორტილა – ფლეტი გაგიგია?!

პილონი – როგორ არ გამიგია

ჟორჟი – დაიმახსოვრე: საქართველო, ქუთაისი, საფიჩხია.

პილონი – გავიგე. საქართველოში ვინ შემიშვებს.

ჟორჟი – ქრთამი ძმა ჯოჯოხეთს ანათებს. ამოდენა განძის პატრონს ერთი ყუთის ჩატანა უნდა გაგიჭირდეს? საფიჩხის სასაფლაოზე მესაფლავეს მოელაპარაკები და ეკლესიის წინ, ღრმად, წყალწითელას ხეობას გადაყურებს დედაჩემის და მამაჩემის საფლავები, შიო და ანეტა ზოგვერაძეები და იქ დამმარხე.

პილონი – მაინც არ მესმის, რატომ წვალობ, აქ რა გაწუხებს?

ჟორჟი – ვერ გავთბი, მცივა და სულ წყალში ვარ [პილონი მხრებს იჩეჩავს]

პილონი – [მხრებს იჩეჩავს] მცივა, ვერ გავთბი, წყალში ვარ

ჟორჟი – მადლენას ცრემლმა და ჩემი დონარას ცრემლმა სულ დამალპო

პილონი – დორას ცრემლმა?

ჟორჟი – დონარას, დონარას! ნაშა მყავდა კვერცხს რომ გაფცქვნი ისეთი გიტარასავით ტანი ჰქონდა. ცოლად უნდა მეთხოვა.

პილონი – ისიც გარდაიცვალა?

ჟორჟი – აბა, ცას ხომ არ გამოეკერებოდა პილონი – გეთხოვა თუ უყვარდი, ოჯახი, შვილები მაინც დაგრჩებოდა. შენც ჩემი ბედი ყოფილხარ, მარტოსული.

ჟორჟი – დღე-დღეზე უნდა მომეყვანა ცოლად და იმ ნაბოზარმა გიტლერმა ომი დაიწყო. დაგელოდებო და ჩემ მშაკაცს გრიშაიას არ გაუჟიმავს.

პილონი – რა იცი?

ჟორჟი – დედაჩემმა მომწერა ფრონტზე, დონარა გაბოზდაო და მეც ამერია ტვინი და ქე ხედავ სადაც ვარ.

პილონი – ადამიანები შეიძლება შეცდნენ, მაგრამ პატიება უნდა შეგეძლოს ადამიანს, დორას ბრალი არ იყო.

ჟორჟი – დონარა, დონარა! დორაია ბოზს ადარებ?

პილონი – როგორც დედაშენმა მოგწერა დონარა გაბოზდაო, რა განსხვავებაა ჩვენს უბნელ, ტორტილა – ფლეტელ ბოზსა და საფიჩხიელ ბოზს შორის ვერ გამიგია.

ჟორჟი – ჩვენებური ბოზები უფრო კდემამოსილები არიან

პილონი – არ მესმის ჟორჟი – რა არ გესმის პილონი – მადლენი ბოზია და დონარა არა?

ჟორჟი - მადლენიას დონარას ადარებ?

[გაისმის სევდიანი სიმღერის ხმა]

ჟორჟი – დაიწყო პილონი – რა დაიწყო?

ჟორჟი – ჩემს გარდა არავის არ ესმის, საფიჩხიის სასაფლაოდან მეძახის დონარა დამტირის. გეივსება ახლა საფლავი წყლით.

პილონი – ჟორჟ ფხიზლად, მამლის ყვილი არ გამოგვრჩეს. რა დროს დონარას დატირებაა.

ჟორჟი – თუ დაიწყო ვერ გააჩერებ. სიცოცხლეში სატირალში დაყავდათ თურმე. გამხმარ ხეს რომ მიაყენო ისე იტირებს და ატირებს ხალხს მდინარეები დიდდებოდნენ თურმე..

პილონი – გავდევნოთ დონარა, სიფხიზლეს მოგვიდუნებს

ჟორჟი – დონარას, მაინც არ გითხოვდი.

პილონი – რატომ, როგორ ყვარებიხარ

ჟორჟი – გრიშაიას ნახმარ ქალს ვითხოვდი?

პილონი – აღარ ამთავრებს?

ჟორჟი – ახალი დაწყებული აქვს.

პილონი – სამხრეთლებმა იციან რაღაც ამგვარი, შენ ქვეყანაში არ მითხრა ღვინოც მოყავთო

ჟორჟი – ღვინო? მამაჩემი ჭაჭაზე სახმარ ღვინოს დააყენებდა, ტუჩს ვერ მოაცილებდი.

პილონი – დაიცივლე მამალო, მგონი ბედი უნდა გამეხსნას. დონარა წადი გრიშასთან გემუდარები და ჩამოვალთ მე და ჟორჟი საფიჩხიაში.

ჟორჟი – ამთავრებს, ამთავრებს აღარ უხსენო გრიშაია.

პილონი – ჟორჟ ერთი შემომხედე და კარგად დამაკვირდი ჟორჟი – რა იყო?

პილონი – არ მომატყუო ჟორჟი – რა გინდა თქვი

პილონი – მე თვითონ ცოცხალი ვარ? არა მე კი ვიცი რომ მკვდარი არა ვარ მაგრამ იქნებ ვცდები

ჟორჟი - ძმა, სიმართლე გითხრა დიდი განსხვავება არ არის მე და შენს შორის მაგრამ ცოტა უპირატესობა გაქვს შანსი მოგეცი და თუ გამოიყენებ ჯერ-ჯერობით დარჩი მაქვთ მხარეს

პილონი – ჰო, ასე აჯობებს ჟორჟი - აქ კარები მუდამ ღიაა, გააჩნია სად მოხვდები პილონი – მამ ჯერჯერობით ცოცხლებში ვწერივარ არა?

ჟორჟი – ცოცხლების სიაში კი წერიხარ, მაგრამ ცალი ფეხი ჩვენსკენ გაქვს გადმოდგმული

პილონი – ჟორჟ ეს ჩვენი მამალი რაღაც იგვიანებს და არ ყივის

ჟორჟი - ოცი წელია არ შეშლია მამალს ყივილი და რაღა დღეს გაუწყდება ღმერთი

პილონი – ველავ, ნახე ალიონი როგორ ებრძვის ღამეს

ჟორჟი - ნუ ითარსები პილონი – არ ვითარსები არა. კი მაგრამ განძი რაში ჩავყარო

ჟორჟი - ნუ ღელავ, მისის ტორტელის საფლავთან აგდია ტომარა

პილონი – რა წინდახედული ხარ. რაღა მის საფლავთან გაქვს ტომარა დამალული. ერთხელ მისის ტორტელას მტვერსასრუტი მოვპარე. ჟორჟი წრიდან რომ გამოვიდე შეიძლება? (პაუზა) ჟორჟ! ჟორჟ! გაბრაზდი? რატომ დუმხარ?

ჟორჟი – რაღაცაშია საქმე

პილონი – გავგიჟდები იცოდე! [პილონი ზეცას გახედავს და ჩურჩულით ლოცულობს]

პილონი – არ ესმით ზეცაში ჩემი ვედრება, გავგიჟდები! [პილონი წრიდან გამოსვლას დააპირებს და ვერ ახერხებს. თავში წაიშენს ორივე ხელს]

პილონი – ჟორჟ რატომ არ ყივის მამალი, რატომ, რატომ?! [წერაქვს ხელს წაავლებს, მოიმარჯვებს, მიწას უნდა რომ დაჰკრას და ხელი ჰერში უშემდება] პილონი – დაიცივლე, დაიცივლე მამალო! [პილონი აქვითინდება]

პილონი – მიწა წერაქვსაც არ იღებს ჟორჟი – ხარბი ხარ!

პილონი – ვიცოდი, ვგრძნობდი ბოლომდე რომ არ მენდობოდი

ჟორჟი – არ გაგიგია – ვისაც ჩავაცვი იმან გამხადაო?

პილონი – პირი მიტეხე ჟორჟ?! მე ხომ ერთგულების მეტი არაფერი ვიცი.

ჟორჟი – შენ დენისთან მიქარული გაქვს ვიცი მე პილონი – მართალი ხარ, პირველად დენი რომ გავიცანი, თავის ძველ სახლში ერთი ოთახი თხუთმეტი დოლარად მომაქირავა

ჟორჟი – ქირას რატომ არ იხდიდი, გავბრაზდი ახლა მე

პილონი – ქირას იმიტომ არ ვიხდიდი, რომ დენი არ მთხოვდა

ჟორჟი – დენისთვის თხუთმეტი დოლარი ვერ გაიმეტე და მე ერთი ტომარა განძი უნდა განდო?

პილონი – ჟორჟ შენ ეხლა შარზე ხარ. რამ გადაგიტრიალა ტვინი. დენი თვალში რომ ჩამვარდნოდა ხელს არ ამოვისვამდი.

ჟორჟი – მაგნიტები დორაია ბოზს მოუყევი

პილონი – შე უღმერთო ჟორჟ, ვერ ვახერხებდი თხუთმეტი დოლარის შეგროვებას. გაჭირვებავ მე შენი. . [პილონს შეაჟრჟოლებს მოეჩვენება მამლის ყვილი და წრეში ხტუნვას დაიწყებს]

პილონი – მამალმა დაიყვილა, მამალმა დაიყვილა

ჟორჟი – იყვილოს რამდენიც უნდა. ეგ ის მამალი არ არის.

პილონი – გონს მოდი, რა დროს ხუმრობაა. არ გენატრება სამშობლო, ქუთაისი, საფიჩხია. დედულეთი, ფოთი. [იციინიან დორა, მადლენი, სერჟანტი სასტვენს ჩაბერავს და პილონის ირგვლივ დახტიან, უნდათ პილონი წრიდან გადმოათრიონ. ისმის ძაღლის ყეფის ხმა. პილონი მათ იგერიებს ძაღლის ყეფის ხმა ძლიერდება].

პილონი – არ მომეკაროთ! არ მომეკაროთ! გამშორდით! აქ განძია ჩაფლული მე უნდა ამოვთხარო, მე დამავალა ჟორჟმა. გამშორდით! გამშორდით! განძს ვიპოვი, ვიპოვი! [სცენაზე პიხარიტო ყეფა-ყეფით შემოიჭრება. ყურადღებას არავის აქცევს, რამოდენიმე ადგილს დაყნოსავს. ერთ-ერთს მონიშნავს. პილონთან მიაჭრის, თათებით წრის ნაწილს მოშლის].

პილონი – პ ი ხ ა რ ი ტ ო , პ ი ხ ა რ ი ტ ო !

[პიხარიტო, პილონს ანიშნებს წრიდან თავისუფლად შეუძლია რომ გამოვიდეს, მონიშნულ ადგილზე მიიყვანს. პილონი წერაქვს მოიმარჯვებს. პიხარიტო დაუყეფს და ანიშნებს პილონს დაიწყოს მიწის ამოთხრა].

პილონი – ჯერ ხომ იმ მამალს არ დაუყვივლია [პიხარიტო გაუღიმებს] პილონი – ჟორჟ! ჟორჟ!

ჟორჟი – მოვკლავ პიხარიტოს!

პილონი – არც იფიქრო, ძაღლები გუმანით გრძნობენ ადამიანებს პიხარიტო – მე ძაღლი არა ვარ, უბრალოდ გაძაღლებული ვცხოვრობ.

პილონი – პირველად გავიგე შენი ხმა, ლაპარაკიც იცი? თუმცა რა მიკვირს მეც შენსავით გაძაღლებულად არ ვცხოვრობ.

[პიხარიტო მიწის ამოთხრას დაიწყებს პილონი წერაქვს მოიმარჯვებს და მიწას დასცემს].

პილონი – მიწამ წერაქვი მიიღო, პიხარიტო განძი თუ ვიპოვე მონტერიეს ბაზა რში ყველაზე დიდ ხორცის ნაჭერს გიყიდი.

[პიხარიტო ენით ტუჩებს მოიწმენდს]

პილონი – შენც დიდი ხანია ხორცი არ გიჭამია არა?

[პიხარიტო აგრძელებს მუშაობას და თავის ქნევით ანიშნებს დიდი ხანია ხორცი არც მას უჭამია. პილონი ოფლს იწმენდს].

პილონი – გამამხნევე, განძს ხომ აუცილებლად ვიპოვით. მონტერიეში დიდ ლუდის ბარს გავხსნი და დენის სახელს დავარქმევ. ბაბუაჩემი მართალია ბრმა იყო, მაგრამ ბრძნული სიტყვების თქმა იცოდა. თავის შვილებს შეუძახებდა – ნუ გემინიათ გაჭირვების, სიბნელისო და დაუმატებდა – სიბნელე განთიადია ჯერ შობილიო.

[პილონი ოფლს მოიწმენდს და ზეცას გახედავს] პილონი – აი, ისე როგორც ეს ღამე ებრძვის ალიონს.

ჟორჟი – პიხარიტო სატანას მოგზავნილო!

პილონი – ჟორჟ შენ ღელავ?

ჟორჟი – საქმე ჩემი მოცემულია ძმაო პილონი – მერე რატომ დააპირე ჩემი გადაგდება? რა არ გაიხსენე, დენის ქირას არ უხდიდიო

პიხარიტო – ადამიანებს ნუ აჰყვები, ძალადაც მაქციეს. ბნელ ოთახში დამაბეს და მიბრძანეს დილაამდე მეყეფა, ეს რომ არ იკმარეს, დღის განმავლობაში უმოწყალოდ მამუშავებდნენ და თან მთხოვდნენ გამუდმებით მეყეფა. ასე მივეჩვიე ძალღერებებს. ტყვეობიდან გამოვიპარე. გახსოვს დენის ჭიშკართან რომ მიპოვე სიცხისაგან გათანგული, მიპატრონე. ღმერთი შენ არ გწამს მაგრამ იმ ღამეს ღმერთს შესთხოვედი პიხარიტო გადამირჩინეო. შენი ზეცაში გაგზავნილი ლოცვის სიტყვები კეთილად მიბრუნდებოდა, ყველა წამალზე უეფარი იყო.

პილონი – პიხარიტო სიკეთე მართალია გათითოვაცებულა, მაგრამ იგი მაინც ხომ არსებობს.

პიხარიტო – ერთმა ბრძენმა ადამიანმა იცი რა თქვა?

პილონი – მითხარი, მითხარი!

პიხარიტო – ადამიანი ბინძური მდინარეა და ზღვა უნდა იყო რომ შეიერთო და არ წაიბილწო.

პილონი – ეს რა უთქვამს, არ ჩაქოლეს?

პიხარიტო – მან თქვა და გაიარა.

[პილონი და პიხარიტო განაგრძობენ მიწასთან ბრძოლას. პილონი შეცბება]

პილონი – პიხარიტო, პიხარიტო!

[პილონი წერაქვს მოისვრის და მიწაზე დაემხო]

პილონი – ვიპოვე! ვიპოვე!

[ყუთს ფრთხილად ამოიღებს. თავს ახდის, მუჭით სამკაულებს ამოიღებს. მერე მზერას პიხარიტოზე გადაიტანს. პიხარიტო უღიმის].

პილონი – პიხარიტო შენ მე განძთან ერთად დენის საფლავიც მაპოვნინე?

[პიხარიტო თავს უქნევს. პილონი მიწას დაემხო და ორივე ხელს მიწას ურტყამს]

პილონი – დენი! დენი! შენ ხომ ჩვენი სამეგრობროს ნამდვილი განძი იყავი.

[ამ ამბის შემყურე დორა, სერჟანტი, ჟორჟი, ოთხფეხა ცხოველების მსგავსად ხოხვით პიხარიტოსაკენ მიემართებიან, შეჩერდებიან, მუხლებზე დაჩოქილები მიმიკით, ჟესტიკულაციებით ევედრებიან მათაც აპოვნინოს განძი. პიხარიტო შეშინებული შეჰყურებთ, გაქცევა სურს, შეუყეფს. ყეფვას ყეფითვე უპასუხებენ. პიხარიტო თავს დააღწევს, გარბის, ისინიც დაედევნებიან. პილონი წამოიწევს, მუხლებზე დაჩოქილი მზერას გააშტერებს].

პილონი – თუ სიბნელე განთიადია ჯერ არ შობილი მაშინ რატომ არ შეიძლება, ამ ნანგრევებზე აშენდეს ღმერთის ქალაქი.

[ფ ი ნ ა ლ ი]